29/1919

# კლდე

ს ა ს ა ვ ლ ი

ხუთშაბათი, იანვარის 30.

(იანვარის 17).

1919 წელი.

№ 19.

ფასი 50 კაპ.

დამოუკიდებელი ნაციონალური პოლიტიკის ორგანო.

22/III 50
IV29

ყოველ-დღიური

ს ა ღ ა მ ო

გაზეთი **კლდე**

გამოდის **გრიგოლ ვეშაპელის** რედაქტორობით

გაზეთის ფასი 1919 წლის დამლევამდე 100 მანეთი, ცალკე ნომერი 50 კ. განცხადებათა ფასი მორიგებით.

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

კონტორა **ქართულ ქარვასლაშია, სასახლის ქ. № 5**

ტელეფონი № 18—31.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წ ე რ ი ლ ე ბ ი

**შეთაური.** ჩვენი პარტიის სახელი.

**მიტროპოლიტი ლეონიდი.** სიტყვა ნინოობას.

## ც ნ ო ბ ე ბ ი.

**პარლამენტმა** გააუქმა გუბერნიებად დაყოფა საქართველოსი.

**ძეგვის ხიდის** ამფეთქებლებმა ნ. ჟორდანიასს თხოვეს პატიება.

**ლოიდ ჯორჯი** ბოლშევიკების დასწრებას მოითხოვს პარიზის კონფერენციაზე.

**ადმირალმა** ბიტტიმ განაცხადა? ინგლისის ჯარი რამოდენიმე თვე დარჩება კავკასიაშიო.

# დამოუკიდებელი ნაციონალ-დემოკრატიული პარტია (გაზეთ „კლდის“ მიმართულება) საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და ქალაქ თფილისის საბჭოს არჩევნებში გამოდის

## „საქართველოს ეროვნული პარტიის“ სიით

# № 8

ნინო კირილეს ასული იშხნელისა, შვილები: თამარ, ანა, გიორგი, მიხეილ, ზაქარია და კოსტანტინე; რძლები: ალექსანდრა, ირაიდა, ნინო და მერი და სიძე სვიმონ ყაუხჩიშვილი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ქ. ქუთაისში უდროოთ გარდაიცვალა ღენერალ მაიორი

## გიორგი სარდიონის ძე ამირაჯიბი

დაკრძალვა მოხდება შაბათს 1 თებერვალს, სოფ. საღოლაშენში (გორის მაზრა).

# ს ი ა № 8

**დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის.**

1. **ვეშაპელი** (ვეშაპიძე) გრიგოლ გიორგისძე; პარლამენტის წვრი, გაზეთ „კლდის“ რედაქტორი.
2. **ქარუმიძე** შალვა ალექსანდრეეს; ძე პარლამენტის წევრი; განათლების კომის. წევრი,
3. **ვაჩნაძე** დავით ვლადიმერის ძე; პარლამენტის წევრი; სამხედრო კომისიის წევრი.
4. **გაბაშვილი** რევაზ (ლეონიდე) ალექსანდრეს ძე; პარლამენტის წევრი, გზათა კომისიის წეერი.
5. **მაჩაბელი** მიხეილ ვახტანგის ძე; პარლამენტის წევრი, აგრარულ კომისიის წევრი.
6. **ჯავახიშვილი** დიმიტრი ვასილის ძე; ექიმი, პარლამენტის ყოფ. წევრი.
7. **ცაგარელი** ალექსანდრე ანტონის ძე; პროფესორი.
8. **სარაჯიშვილი** ალექსანდრე თედორეს ძე; მრეწველი.
9. **გაბაშვილი** ნიკოლოზ სოლომონის ძე; ინჟინერი-ქიმიკოსი, კომერსანტი.
10. **ორბელიანი** გიორგი ილიას ძე; ჯენერალი.
11. **ჯანდიერი** ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე; ექიმი.
12. **ელიაშვილი** ივანე სპირიდონის ძე; ექიმი.
13. **კაპანელი** (ჭანტურაია) კონსტანტინე გრიგოლის ძე; ლიტერატორი.
14. **ეკალაძე** ია. (ცინცაძე) იაკობ თომას ძე; ლიტერატორი.
15. **ღოლობერიძე** დავით სიმონის ძე; კოოპერატორი.
16. **კელენჯერიძე** დავით ბესარიონის ძე;
17. **ციციშვილი** ივანე გიორგის ძე; მიწის მესაკუთრეთა „კავშირის“ წევრი.
18. **იშხნელი** მიხეილ ნიკოლოზის ძე; ექიმი.
19. **ღუდუშაური** ბართლომე; მღვდელი.
20. **ივანიცკი** ტარასი; დეკანოზი.
21. **მამრაძე** გიორგი გრიგოლის ძე; ლიტერატორი.
22. **სიდამონ-ერისთავი** ვალერიან; მხატვარი.
23. **ნიჟარაძე** რაფაელ; პედაგოგი.
24. **კიკაბიძე** ლადო სპირიდონის ძე; სტუდენტი.
25. **ქასრაშვილი** კსენეფორე ნიკოლოზის ძე; მეურნე.

# ს ი ა № 8

**«საქართველოს ეროვნული პარტიისა»**

**თფილისის ქალაქის საბჭოს არჩევნებში**

1) **ვეშაპელი** (ვეშაპიძე) გრიგოლ გიორგის ძე; პარლამენტის წევრი; გაზეთ „კლდის“ რედაქტორი.

2) **ვაჩნაძე** დავით ვლადიმერის ძე; პარლამენტის წევრი; სამხედრო კომისიის წევრი.

3) **ქარუმიძე** შალვა ალექსანდრეს ძე; პარლამენტის წევრი; განათლების კომისიის წევრი.

4) **გაბაშვილი** რევაზ (ლეონიდე) ალექსანდრეს ძე; პარლამენტის წევრი; გზათა კომისიის წევრი.

5) **მაჩაბელი** მიხეილ ვახტანგის ძე; პარლამენტის წევრი; აგრარულ კომისიის წევრი.

6) **ჯავახიშვილი** დიმიტრი ვასილის ძე; პარლამენტის ყოფ. წევრი; ექიმი.

7) **სარაჯიშვილი** ალექსანდრე თედორეს ძე; მრეწველი.

8) **გაბაშვილი** ნიკოლოზ სოლომონის ძე; ინჟინერ-ქიმიკოსი; კომერსანტი.

9) **ციციშვილი** ივანე გიორგის ძე; „მიწის მესაკუთრეთა კავშირის“ გამგეობის წევრი.

10) **იშხნელი** მიხეილ ნიკოლოზის ძე; ექიმი.

11) **მამრაძე** გიორგი გრიგოლის ძე; ლიტერატორი.

12) **მგალობლიშვილი** ივანე პაატას ძე; ბანკის დამფუძნებელი.

13) **ერისთავი** რევაზ იასონის ძე; მეურნე.

14) **მაჩაბელი** სოლომონ ვახტანგის ძე; მეურნე.

15) **ჩოლოყაშვილი** სოლომონ მიხეილის ძე; აგრონომი.

16) **ცაგარელი** ივანე ანტონის ძე; სახლის პატრონი.

17) **კალატოზიშვილი** კოტე ვასილის ძე; მეურნე.

18) **ციციშვილი** ალექსანდრე დავითის ძე; მეურნე.

19) **ყავრიშვილი** ნიკოლოზ იოსების ძე; აგრონომი.

20) **იმნაიშვილი** გერასიმე; პედაგოგი.

21) **ნიჟარაძე** რაფაელ; პედაგოგი.

22) **კიკაბიძე** ლადო სპირიდონის ძე;

23) **სონღულაშვილი** ეროდიონ თომას ძე; მწერალი.

„საქართველოს ეროვნულ პარტიის“

(ს ი ა № 4)

**ზესტაფონის ძალაძის საბჭოს**

**არჩევნებისათვის**

1. **კელენჯერიძე** ბესარიონ ანტონის ძე; პედაგოგი.
2. **ლამბაშიძე** დარისპან ზაალის ძე; კომერსანტი-მეურნე.
3. **იშხნელი** (კელენჯერიძისა) ნინო ალექსანდრეს ასული; ზესტაფონის ქალთა გიმნაზიების მასწავლებელი.
4. **დეკანოსიძე** ნიკოლოზ ფარსადანის ძე; მეურნე.
5. **ლამბაშიძე** დავით; კომერსანტ-მეურნე.
6. **ბანძელაძე** პეტრე ისიდორეს ძე: ბულჰალტერი.

თფილისი ა ვარის 30 (17).

## ჩვენი სახელი.

გაზეთ „საქართველო“-ს სწყენია, რომ ჩვენ არჩევნებში „საქართველოს ეროვნული პარტიის“ სახელით გამოვდივართ.

მოგახსენებთ ბატონებო, ამიერიდან სიტყვა „დამოუკიდებელი“ ეროვნულ-დემოკრატიული სახელის ტარება ჩვენ აღარ გვინდა იმიტომ, რომ საბოლოოდ დაიკარგა იმედი პარტიული ყრილობის მოწვევისა და იქ მორიგებისა ან გაყოფის; ამიტომ ჩვენ ამოვირჩიეთ საკუთარი სახელი. რა სახელია ეს? „ეროვნული პარტია“, ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენა ვართ ქართველთა ნაციონალური პარტია, ქართველი ნაციონალისტები.

ასეთები ვიყავით ჩვენ თავიდანვე, მაშინაც როცა ეროვნულ-დემოკრატიულ პროგრამას ვადგენდით: მაშინაც ბ-ნ ასათიანს და ამირეჯიბს უფრო ბურჟუაზიული დემოკრატიული პროგრამა აინტერესებდათ, ჩვენ კიდევ გვაინტერესებდა პროგრამა ეროვნული, ნაციონალური, თუ გნებავთ ნაციონალისტური.

ეხლა ყველა თავის ალაგზეა: ბ-ნი ასათიანი, ქიქოძე და ამირეჯიბი მოსვენებით შეუდგნენ თავის საყვარელ საქმეს სოც. დემოკრატებთან რომანებს.

ჩვენ კიდევ თავისუფლად ვაწარმოებთ ქართულ ნაციონალურ, ნაციონალისტური პარტიის საქმეს და ამ საქმეებში აღარ გვჭირია წვრილ-ფეხა და მსხვილ-ფეხა სპეკულიანტებთან მორიგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც შეეხება საარჩევნო ნომერს, ჩვენი ნომერი არის 8, ძველი ნომერი ჩვენი პარტიისა.

რატომ? ჩვენ ვიცავთ პარტიის ტრადიციას და ამიტომაც გვინდოდა ძველი ნომერის შენარჩუნება.

თქვენ კიდევ, როვნულ.დემოკრატებო, ძალიან ცდილობდით ახალი ნომერის, მე-2 ნომერის მიღებას, სწორედ იმიტომ, რომ თქვენ აღარ იცავთ ძველ გროგრამას დაუახლოვდით სოციალ-დემოკრატებს და ნომერიც ისეთი ამოირჩიეთ, რომ უსათუოდ მენშევიკების კუდში მოქცეულიყავით.

## სიტყვა წმიდა ნინოზეს

,,სარწმუნოება, რომელი გვასწავე ჩვენ, ითხოვე დაცვად საუკუნოდ ჩვენ შორის მიუდრეკელად, ჰოი ნინო მოციქულო''! (სადღესასწაულო იანვრის იდ დღესა),

ამას შესთხოვდნენ და ამაზედ ევედრებოდნენ მთელი თავიანთი გულმოდაინებით ჩვენი მორწმუნე წინაპრები წმ. ნინოს მისი ხსენების დღეს. სარწმუნოების შეუბღალავად დაცვა ცხოვრებაში დასახული ჰქონდათ ჩვენს მამებსა და პაპებს კაცისათვის ყველა სანატრელ სიკეთეზე უსანატრელეს სიკეთედ, ქრისტიანობა სისხლსა და ხორცს შეადგენდა ძველი ქართველისათვის და ამიტომ ასეთის მთავარი საზრუნავი იყო ის, რომ ,,ყოველ მის მოძმეს შესაძლო სისრულით ეგრძნო და განეცადა ქრისტეს მოძღვრების ზექვეყნიური ძალა და გავლენა. ესაა მიზეზი, რომ ქართველი დედები და მამაკაცები, მუხლმოდრეკილნი თავიანთი განმანათლებელის ხატის წინ მისი ხსენების დღეს, ცრემლთა ფრქვევით ევედრებოდნენ წმ. ნინოს არა იმაზედ, რომ მას გამოეთხოვა მათთვის ღვთისაგან სიმდიდრე ან რაიმე ქვეყნიური სიკეთე, არამედ იმაზე, რომ მისცემოდათ მათ ღვთისაგან შეძლება სარწმუნოების სიწმინდით დაცვისა ,,სარწმუნოება, რომელი გვასწავე ჩვენ, ითხოვე დაცვად საუკუნოდ ჩვენ შორის მიუდრეკელად, ჰოი ნინო მოციქულო'', ეს იყო გულისზრახვა ძველი ქართველისა.

არც უშედეგოდ და უნაყოფოდ დარჩომილა ესეთი წადილი, ბეჯითი თხოვნა და ვედრება მორწმუნე ქართველებისა. წმ. ნინოს მეოხებით არასოდეს ქრისტიანობა არ გამქრალა სრულებით საქართველოში. წმ. ნინოს მეოხებითაა, რომ დღესაც იმავე ცხოველმყოფელი ჯვარის თაყვანისმცემლები ვართ, რომელიც მას უბოძა ყოვლად წმიდა ღვთისმშობელმა, წმ. ნინოს მფარველობითა და მეოხებითაა, რომ დღესაც იმავე სახარების აღმსარებელნი და მიმდევარნი ვართ ქალი და კაცი, თავიდან რომ გვახარა და დანერგა მან ჩვენში.

გარნა ასეთი ერთსულოვნობა, თანხმობა, ხელი ხელს და მხარი მხარს მიცემა დიდისა და პატარასაგან სარწმუნოების დაცვის საქმეში ამ უკანასკნელ დროს აღარ შეადგენს მთელი ქართველი ერის დამახასიათებელ თვისებას. პირიქით, დღეს სრულებით საწინააღმდეგო მიმართულებაა გამეფებული საზოგადოებაში. დღეს, როგორც სიტყვით, ისე ბეჭდით ეფინება ჩვენს საზოგადოებას ის ქადაგება, რომ ქრისტიანობას უნდა გამოეცხადოს დაუზოგველი ბრძოლა, სარწმუნოება უნდა ძირიანად ამოიფხვრას ერის მეხსიერებიდან, მოსწავლე ახალგაზდობა აღარ უნდა ეცნობოდეს სახარებას, დღეიდან ჩვენი ერი უნდა გაჰყვეს სოციალიზმის მოძღვრებას, ეს მოძღვრება უნდა გაიხადოს მან თავისი ცხოვრების ქვაკუთხედად, მხოლოდ ამაზე დაამყაროს და ამაზე ააშენოს მან თავისი მომავალიო და სხ. და სხ.

მე წინასწარ მეტყველი არა ვარ და არც სურვილი მაქვს გადაგიშალოთ თვალწინ ის სურათი, რომელიც შედეგად მოჰყვება ასეთი მოძღვრების განხორციელებას ჩვენს ცხოვრებაში. მინდა მხოლოდ თქვენი ყურადღება გაკვრით შევაჩერო იმაზე, თუ რა მოგვცა და რა შეგვძინა წმ. ნინომ თავისი ქადაგებით.

პირველ ყოვლისა ქრისტიანობამ, რომელსაც გვაზიარა წმ. ნინომ, დაგვასაჩუქრა სახარების უებრო, გულის სიღრმემდე ჩამწდომი და ყოველი იდუმალი აზრის საუცხოოდ გამომხატველი ენით. წმ. ნინოსაგან საქართველოში მოტანილმა ქრისტეს სახარებამ ააღორძინა და გაფურჩქნა ის ენა, რომელზედაც აზროვნებდნენ და მწერლობდნენ უკვდავი შოთა, ბრძენი ილია და ბრწყინვალე აკაკი. წმ. ნინოსაგან ჩვენში დანერგილმა სახარებამ აგვზარდა ერად და მით სამუდამო მკვიდრებად გაგვხადა დედამიწის მშვენებით ავლსილის იმ ნაწილისა, რომელსაც სახელად ეწოდება საქართველო. წმ. ნინოსაგან მოტანილმა ქრისტიანობამ წარმოშვა ის გონებრივ სიმდიდრე, ანუ, როგორც ეხლა ამბობენ დიდებული კულტურა, რომელმაც თვალსაჩინო ალაგი მოუპოვა ჩვენს ერს მსოფლიო ისტორიაში. წმ. ნინოსაგან ჩვენ შორის განმტკიცებულმა სახარებამ აგვამაღლა ზნეობით, შეგვაყარა ურთერთი და ჩაგვბერა დიდი უნარი კაცთა შეგუება—შეწყნარებისა, რომლითაც ასე თვალსაჩინოდ გავირჩეეთ მახლობელ და შორეულ მეზობლებისაგან.

განა ყველა ეს იმდენად მცირე რამეა, რომ შესაძლო იყოს წმ. ნინოს სახელის ამოშლა ქართველი ერის მეხსიერებიდან? განა ყველაფერი ზემოდ აღნიშნული იმ ზომად უმნიშვნელო ღირებულობას წარმოადგენს, რომ ქართველმა ერმა შესძლოს ასე ადვილად დათმობა, ხელის აღება და დავიწყება ყველა ამისა?

არა და კვალად არა!

ხეს რომ ფესვებს დააჭრიან, უსათუოდ გახმება. ქართველი ერის სულიერი სიცოცხლის ფესვი ქრისტიანობაა ქართველი ერი რომ ცოცხლობს და ალაგი უკავია მსოფლიო ისტორიაში, ეს არის შედეგი მისი ქრისტიანობისა. ... ფა ამ სასიცოცხლო ძალისა სასარგებლოდ და გასაძლიერებლად სოციალიზმის მოძღვრებისა, მკაცრს და ულმობელ პასუხს აგებინებს ქალაქსაც და კაცსაც ჩვენი ერის მთელი წარსულის, ჩვენი ჩამომაგლობის, კაცობრიობისა და ღვთის წინაშე.

ნუ ვიზამთ ამას წმ. ნინოს პატივისმცემელნო. ნუ ჩავიდენთ ისეთ დანაშაულს, რომ ჩვენს მამხილებლად წინაშე ღვთისა გამოვიდეს ჩვენივე მოძღვარი და განმანათლებელი. სანამ კიდევ დაგვიანებული არ არის, გამოვასწოროთ საქმე, შეექმნათ ჩვენს ცხოვრებაში იმ გვარი პირობები, რომ ქრისტიანობა არ ითრუგნებოდეს და არ იჩაგრებოდეს განგებ, ძალადობით, ხელოვნური გამოსვლებით და შეუწყნარებელი ზომების მიღებით..

ჩვენი ერი ემზადება დიადი ისტორიული მომენტისათვის. თებერვლის შუა რიცხვებში მოწვეული იქნება დამფუძნებელი კრება. ამ კრებაზე გამოგზავნილი პირები უნდა იყვნენ ქართველი ერის ნებისა, სურვილისა და სინიდისის გამომხატველნი. დამფუძნებელი კრების წევრებმა ახალი საძირკველი უნდა ჩაუყაროთ ჩვენი ერის ისეთ ცხოვრებას, როგორი ცხოვრებაც ამ ერს ჰსწყურია და სასურველად მიაჩნია. ამიტომ, თუ ჩვენს ერს სურს, რომ ქრისტიანობას შესაფერი ალაგი ეკავოს მის ცხოვრებაში, თუ ქართველ ხალხს აქვს პატივისცემა და დაფასება ქრისტეს სახარებისა. თუ ქართველი ერისთავის ნიშნავს რამეს წმ. ნინოს ღვაწლი ჩვენს ისტორიაში, ქალაქელმა და სოფლელმა, მამაკაცმა და დედაკაცმა უნდა აუცილებლად ვისარგებლოთ ჩვენი მოქალაქობრივი უფლებით და დამფუძნებელ კრებაზე გასაგზავნათ ავირჩიოთ უსათუოდ განათლებული, პატიოსანი, მორწმუნე ღვთის მოყვარული კაცები. ამ გვარი გამოყენებით მოქალაქებრივი უფლებისა ქართველები ერთხელ კიდევ დაუმტკიცებდით კაცობრიობას, რომ ჩვენ დღევანდლამდე მოგვდგამს ქრესტესადმი უღრმესი ერთგულება და უდრეკი სიყვარული.

ღირსო დედაო ნინო! შენი ოფლითა და ღვაწლითაა საქართველოში დანერგული ქრისტიანობა, შენი დაუცხრომელი მეოხებით ყოფილა იგი განმტკიცებული მუდამ ტანჯულ საქართველოში და შენვე გულსმოდგინეთ გევედრებით: ახლაც ისევ განულვიძე, გაუღვივე გაუცხოველე შენი სამწყსოის შვილებს თავისი ახალი პოლიტიკურ-სოციალურ ცხოვრების აშენების ხალისი და შეგნება მხოლოდ სახარების მტკიცე და ნაკურთხ ნაადაგზე! ამინ.

**მიტროპოლიტი ლეონიდი.**

## საქართველოს ამბები.

**საღამო წმ. ნინოს სასწავლებელში.**

ორშაბათს, 27 იანვარს წმინდა ნინოს სახელობის ქალთა გიმნაზიაში შესდგა ტრადიციული საღამო. საღამოს დიდძალი ხალხი დაესწრო. საღამოს დაესწრნენ ინგლის-საფრანგეთის დელეგაცია, და საქართველოს პარლამენტის წევრნი.

**თფილისის მილიციის უფროსი.**

ადგილობრივ გაზეთებში მოთავსებული ცნობა, ვითომც თფილისის მილიციის უფროსად ურუშაძის მაგივრად სულაქვეليძე მიეწვიოთ,—სიმართლეს მოკლებულია ბ-ნი ურუშაძე კვლავ თავის თანამდებობაზე რჩება.

**დენიკინის ჯარის თავის მოყრა საქართველოს საზღვრებზე.**

საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგმა საბახტარიშვილმა და სამხედრო მინისტრის ამხანაგმა გენ. გედევანიშვილმა გადასცეს ინგლისის მისიას, რომ საქართველოს საზღვარზე თავი მოუყრია დენიკინის დიდ ძალ ჯარს და გამოსთქვეს შიში ამ ჯარის საქართველოში შემოჭრისა. საბახტარიშვილმა და გენ. გედევანიშვილმა მიიღეს პასუხი, რომ მოსალოდნელი არ არის იქნება მოკავშირეთა წინააღმდეგ გამოსვლა.

**დამფუძნებელ კრების ადგილი.**

განსაკუთრებულმა სპეციალისტთა კომისიამ დაათვალიერა სასახლე იმის გამოსარკვევათ, თუ რამდენათ შესაძლებელია იქ დამფუძნებელ კრების მოთავსება.

აზრათა აქვს თუ სასახლეში შეუძლებელი გახდა, მაშინ სხვა შენობაში მოაწყონ დამფუძნებელ კრების სხდომები. ასეთ ადგილთა შორს ასახელებენ პირველ გიმნაზიის და სახალხო ბიბლიოთეკის შენობებს, თუ უკანასკნელის შენება იმ დროსთვის დასრულდა.

**სომხების დასახლება კახეთში.**

ლაგოდეხიდან აუწყებენ შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ სომხები უნებართვოთ მოდიან, ყიდულობენ მამულს სახლებს და სამუდამოთ იქ სახლდებიან.

**ინგლისელთა შუადგომლობა სომხებისთვის.**

ინგლისის მისიამ იშუამდგომლა მთავრობის წინაშე, რომ ნება დართონ საქართველოში მცხოვრებ სომხებს ბათუმში წასასვლელათ, ვინც ამას მოისურვებს.

**მომრიგებელ მოსამართლეთა სიმცირე**

იუსტიციის სამინისტროს ცნობებით პროვინციაში ძალიან ცოტა არის ისეთი პირები, რომელთაც შეეძლოთ მომრიგებელ მოსამართლის მოვალეობის აღსრულება.

## მთავრობის მიმართვა ინგლისისადმი.

საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. გეგეჭკორმა დიდი ბრიტანიის სარდლობას კონსტანტინეპოლში შემდეგი დეპეშა გაუგზავნა:

,,დიდი ბრიტანეთის სარდლობას კონსტანტინეპოლში ,,საპასუხოთ თქვენი ტელეგრამისა 9—1—19—1—4342 რომელიც მიიღო საქართველოს მთავრობამ. გთხოვთ პატივი დამდოთ [illegible] ტანეთის საგარეო მინისტრს [illegible] შემდეგი:

,,ქართველი ხალხი და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ღრმა კმაყოფილების და მადლობის გრძნობით იღებს თქვენ ცნობას იმის შესახებ, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობა სიმპატიით ეპყრობა დამოუკიდებელ საქართველოს აღდგენას და რომ მზათ არის დაიცვას მისი უფლებანი საერთაშორისო კონფერენციაზე.

ეს ცნობა იწვევს ქართველი ხალხის გულში აღგზნებულ მადლობის გრძნობას და ნერგავს რწმენას, რომ დიდი ბრიტანეთის ერისა და საქართველოს რესპუბლიკის შორის დამყარდება საუკეთესო განწყობილებაო''.

## ინგლისის ჯარი აზიაში

. ადმ. ბიტიმ შაბათს განაცხადა, რომ დიდ ფლოტს დაითხოვენ. იტალიაში მყოფი ინგლისის ჯარი შეუერთდება ავსტრიაში მყოფ მოკავშირეთა საოკუპაციო ჯარს. ინგლისის ჯარი ამიერ კავკასიაში, ალბათ, რამოდენიმე თვე დარჩება, იმედი აქვთ, რომ პალესტინაში მყოფ ჯარს შეამცირებენ. შეიძლება 4 დივიზიის გაყვანა ეგვიპტედან, თუ მათ გადასაყვანათ გემები იქნა. საოკუპაციო ჯარი რამოდენიმე ხნით საჭირო იქნება მესოპოტამიაში. ამ ჯარში მხოლოდ ინდოელნი იქნებიან. ფიქრობენ ზაფხულამდე გაიყვანონ ინგლისის ჯარის დიდი ნაწილი, თუ იქნა თავისუფალი გემები.

ოფიციალურათ იუწყებიან, რომ საოკუპაციო ჯარის ჯამაგირის და ხარჯის შესახებ, მთავრობამ გადასწყვიტა დაუყონებლივ რაც შეიძლება გაუმჯობესოს საოკუპაციო ჯარის შენახვა და მოუმატოს ჯამაგირი, მთავრობამ დაადგინა მთელი 1919 წლის განმავლობაში იყოლიონ ჯარი მთელ ნაომარ ფრონტზე იმ მოსაზრებით, რომ არ დაკარგონ ომის ნაყოფი. ინგლისი მთავრობა ვალდებულია შეინარჩუნოს ინდოეთის იმპერია და ოლქები შუა აღმოსავლეთში. ამ ჯარში დისციპლინა მტკიცე უნდა იყოს და ძალას უნდა წარმოადგენდეს ინგლისის ინტერესების დასაცავათ ჩვეულებრივ მშვიდობიან დროის პირობების დამყარებამდე, როდესაც შესაძლებელი იქნება მოხალისეთაგან ჯარის შედგენა. ახლანდელი ჯარის დანარჩენი ნაწილი კი რაც შეიძლება მალე იქნება დათხოვილი.

## საქართველოს პარლამენტი

**24 იანვრის სხდომა.**

თავმჯდომარეობს ი. ბარათაშვილი.

კანონ პროექტი ყოფილ სანადელო, სახაზინო და ხიზანთა მიწების კერძო საკუთრებათ აღიარების.

დ. ონიაშვილი პარლამენტის წევრნო! ამ დღეებში საქართველოს პარლამენტმა მიიღო მნიშვნელოვანი კანონ-პროექტი მიწის საკითხის შესახებ. მიუხედავათ ამისა იგი სავსებით მაინც ვერ სწყვეტს აგრარულ საკითხს. საქართველოში დღესაც მოიბოვება მიწის მფლობელობის ისეთი ნაშთები, რომლებსაც გამორკვევა სჭირია და ჩამოყალიბება გარკვეულ იურიდიულ ფორმებში. თფილისის გუბერნიაში ჯერ კიდევ არიან დროებით ვალდებულნი გლეხები, ფაქტიურათ თუ არა, იურიდიულათ მაინც ითვლებიან; არიან ე. წ. სახაზინო გლეხები, რომლებსაც ძველი მთავრობა აძლევდა მათ მიწებს დასამუშავებლათ და ამაში ახდევინებდა გადასახადს. გლეხები ამ მიწებს საშვილიშვილოთ ფლობენ, ისინი მიწებს უყურებენ, როგორც თავიანთ კერძო საკუთრებას. რა მდგომარეობაში იმყოფება ხიზანთა ინსტიტუტი ეს ყველას კარგათ მოეხსენება. აღსანიშნავია აგრეთვე მიწათ მფლობელობის წესები ახალციხის მაზრაში, სადაც შარიატის აზრით მიწა სულთანის საკუთრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა იყო და გლეხს მიწაზე დაწესებული გადასახადი უნდა ეხადნა მებატონეთა სასარგებლოთ. ასეთია ის აჭრელებული მდგომარეობა მიწათ მფლობელობის, რომელიც არსებობს ჩვენ ქვეყანაში. ყველა ამ ზემო ჩამოთვლილ მიწებს, გლეხები ფლობდენ საშვილიშვილოთ. იგინი ამ მიწებს საკუთრებათ სთვლიან. ეს მიწები გლეხკაცობამ უკვე გამოისყიდა თაკის სისხლით და ოფლით და უსამართლობა იქნებოდა, რომ რაიმე ფასი დაგვედო ამ მიწებზე საჭიროა ამ კანონის დაუყოვნებლივ ცხოვრებაში გატარება, რომელიც მოსპობს ბატონყმურ ნაშთებს.

მ. მაჩაბელი. თავის ვრცელ სიტყვაში ილაშქრებს ამ კანონ პროექტის წინააღმდეგ, რომლის განხორციელებაც დიდ არევ დარევას გამოიწვევს გლეხობაშიო. ბორჩალოს მაზრაში სხვა ერის მოსახლეობა უკანონოთ ფლობს მიწებს, თავ ადგილ-ადგილ ... გსურთ ეს მათი უკანონო მფლობელობა დააკანონოთო. ეს კანონი უნდა დაუბრუნდეს კომისიას ხელახლათ გასარჩევათო. ორატორი თავის სიტყვაში იხსენიებს თავად-აზნაურობას, რომელიც თავის სიტყვით თუ საქმით იცავდა გლეხების ინტერესებსო, კამათი შეწყდა *) კანონის მუხლობრივ განხილვის დროს კამათში მონაწილეობა მიიღეს აკ. პაპავამ, მ. მაჩაბელმა, რომელთაც პასუხი გასცა მომხ. ონიაშვილმა. კანონ-პროექტი უცვლელად მიიღეს ხმის უმეტესობით.

— —

საშვალო სასწავლებლების შტატები და მასწავლებელთა ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესების კანონ-პროექტი.

ნ. ცინცაძე. ნივთიერი მდგომარეობა მასწავლებლებისა მეტად უნუგეშოა. უმაღლეს პირველ დაწყებით სკოლების მასწავლებლები იღებენ დღემდე ჯამაგირს საშვალოთ 325 მანეთს, საშუალო სასწავლებლების 400—500 მან. ეს ნორმა ჯამაგირებისა მეტად მცირეა და თავის დროზე უწყებამ მიაქცია ყურადღება ამ გარემოებას, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო კანონ პროექტი მასწავლებელთა ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესობისა ვერ იქნა დროზე წარმოდგენილი. ამ კანონ-პროექტით უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლების მასწავლებელთა დანიშნებათ 500—600 მან. საშუალო სასწავლებლების 750 მან. ეს იქნება ძირითადი ჯამაგირი გაკვეთილებისა. თუ მასწავლებლებს გაკვეთილების გარდა დაეკისრებათ სხვა თანამდებობანი, ისინი დამატებითი ჯამაგირს მიიღებენ. კანონ პროექტით მასწავლებელთ დამატებითი ჯამაგირები მიეცემათ 1 სექტემბრიდან. დამატებითი ხარჯებს ამ კანონის განხორციელება მოითხოვს 3 ნახ. მილ. მანეთს.

წარმოდგენილ კანონ-პროექტს სავსებით უჭერენ მხარს.

ალ. წერეთელი (მაშვრ. სოც.-ფედ.) აღნიშნავს, რომ შეუძლებელია მასწავლებელთა ჯამაგირების რაოდენობის განსაზღვრა იმის და მიხედვით დიპლომიანია იგი თუ არა. საჭიროა შრომის დაფასება და არა დიპლომებისო.

შ. ქარუმაძე მხარს უჭერს წარმოდგენილ კანონ-პროექტს. აღნიშნავს, რომ განათლების სამინისტრო ვერ ადგამტკიცე გზას, მისი ნაბიჯები სკოლის გაჯანსაღებისა არის ნაწილობრივი და უსისტემო, ერის აღდგენა კი სკოლის აღდგენიდან იწყებაო.

მომხ. ცინცაძე უპასუხებს ალ. წერეთელს და აღნიშნავს, რომ ზედმეტია ეხლა ლაპარაკი იმის შესახებ, გათანასწორდეს თუ არა კვალიფიციური და არა კვალიფიციური შრომა. პრაქტიკულათ წერეთელის აღძრული კითხვა კანონ-პროექტის მე 17 მუხლი სწყვეტსო, კამათი შესწყდა კომისიის მიერ წარმოდგენილი კანონ-პროექტი უცვლელად მიიღეს.

25 იანვრის სხდომაზე, თავმჯდომარეობს ექ. თაყაიშვილი.

*) მ. ვ. მაჩაბელის სიტყვა ცალკე დაიბეჭდება.

კანონ-პროექტი ადმინისტრაციის და მილიციის თვითმართველობათა ხელში გადაცემისა.

მ. ჩხეიძეს ასული. ადგილობრივი თვითმართველობები არიან სახელმწიფოს ორგანოები და ცხადია, რომ ადმინისტრაცია და მილიციაც უნდა გადავიდეს თვითმართველოებათა ხელში, მაგრამ, რადგანაც უზენაეს ცენტრალური ორგანო არის მმართველი მთელი სახელმწიფოსი, ცენტრალურმა მთავრობამ საერთო ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს ადმინისტრაციასო.

ეფხაზი. პრინციპიალურად ორატორი არ არის წინააღმდეგი, რომ მილიციას თვითმართველობათა განკარგულებაში იყოს მხოლოდ ამ პრინციპის გაყვანა ნაადრევათ მიაჩნია. ეროპას, რომელსაც დაკისრებული აქვს ბევრი სხვა ფუნქციები, ვერ შესძლებს გაუწიოს ხელმძღვანელობა მილიციას, რადგანაც მას არც საკმაო კულტურული ძალები მოეპოვება და არც თანხა აქვს მილიციის ხარჯების დასაფარავათო.

მომხსენებელის პასუხის შემდეგ პარლამენტი გადადის პროექტის მუხლობრივ განხილვაზე, რომელშიაც რამდენიმე არსებითი შესწორება შეიტანა ს. დ. ფრაქციამ. შესწორებანი პარლამენტმა მიიღო.

უკანათოდ მიიღეს კანონ პროექტი მარინეს ამხანაგობის გაუქმებისა და მისი ქონების სახელმწიფოს ხელში გადაცემისა.

## არჩევნების გარშემო.

**საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა.**

თანახმად დამფუძნებელ კრების ცენტრალურ საარჩევნო კომისიის წინადადებისა პოლიტიკურ პარტიებმა და ჯგუფებმა, რომლებმაც საკანდიდატო სიები წარუდგინეს. უკვე აცნობეს საარჩევნო ბიულეტენების რიცხვი, რომელიც მათ დასჭირდებათ. სოციალ დემოკრატებმა მოითხოვეს 2,612,000 ცალი ბიულეტენი (1,692,000 ქართულ ენაზე დაბეჭდილი, 332,000—რუსულათ, 367,000—სომხურათ); ეროვნულ დემოკრატებმა მოითხოვეს—1,655,000 ცალი (1,555000 ქართულად, 40,000 რუსულად, 65000 თათრულათ; სოც. რევოლუციონერების პარტიამ—1,922,000 ცალი; დაშნაკელებმა—1,274,000 ცალი; ფედერალისტებმა—1,200,000 ცალი; მაჰმადიანთა ეროვნულმა საბჭომ—5000 ცალი; საქართველოს ეროვნულმა პარტიამ—1,000000 ცალი, მხოლოთ ქართულათ; შოთა რუსთაველის სახელობის ჯგუფმა—5000 ცალი და ბორჩალოს თათრებმა—83,000 ცალი, ქართულ და თათრულ ენებზე. დანარჩენ სიების წარმომადგენელს ჯერ ცნობები არ გამოუგზავნიათ.

**საქალაქო არჩევნები ჭიათურაში.**

ჭიათურა. ქალაქის არჩევნები დამთავრდა. არჩეულ იქნენ სოციალ-დემოკრატი—14, ნაციონალ-დემოკრატი—2, სოც. ფედერალისტი—1, ესერი—2.

**არჩევნები სიღნაღში.**

სიღნაღი. საქალაქო არჩევნებში სოციალ-დემოკრატებმა გაიყვანეს 25 ხმოსანი, სამმა მოწინააღმდეგო პარტიამ გაიყვანა 5 ხმოსანი.

**არჩევნების გარშემო არჩევნების გადადება პროვინციაში**

მთელ თიანეთის მაზრაში, სვანეთში და სოხუმის ოლქში დამფუძნებელ კრების არჩევნები თებერვლის 14-16 არ მოხდება როგორც ეს განზრახულია სხვა მაზრებში, რადგანაც ხსენებულ მხარეებში ამ ჟამათ საერობო არჩევნებია და სოხუმის ოლქში აბხაზთა საბჭოს არჩევნებიც. დანიშნულ ვადაზე არ შესდგება არჩევნები ბორჩალოს მაზრის ერთ ნაწილში, რადგანაც სომხებთან ომის გამო შეუძლებელი იყო იქ ამომრჩეველთა აღწერის მოხდენა.

ხსენებულ ადგილებში დამფუძნებელ კრებაში არჩევნები მოხდება მარტის გასულს ან აპრილის პირველ რიცხვებში.

**საარჩევნო სიების შევსება.**

ქალაქის არჩევნო ბიუროში განიხილა მცხოვრებთა განცხადებები სიიდან გამოტოვების შესახებ. სულ შეტანილია 21000 ზე მეტი საჩივარი-

**სომხების ბოროტმოქმედება აღწერის დროს.**

სიიდან გამოტოვებულმა რამდენიმე მოქალაქემ განაცხადა, რომ აღწერის დროს სომეხი სახლის პატრონები უმალვიდნენ ქართველ მდგმურების გვარებს და უცხადებდენ თურმე მათ ჩემ სახლში აღარ სცხოვრობენო.

## რკინის გზის მოსამსახურეები

შრომის მინისტრის ამხანაგის გ. ერაძის მოხსენებით საქართველოს რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობის შესახებ, 21 იანვარს 1919 წელს მთავრობამ

1) გადიდებულ იქნას ჯამაგირი რკინის გზის მუშებისა.

| | | | |
|---|---|---|---|
| I—X | კატეგორიებს | მოემატება | 75 პროც. |
| XI—XII | — | — | 70 პროც. |
| XII—XIV | — | — | 65 პროც. |

საქართველოს რკინის გზის მოსამსახურეებს მოემატოთ I—X კატეგორიას 75 პროცენტი; XI—XII 70 პროც., XII—XIV 65 პროც.

რკინის გზის ადმინისტრაცია უნდა შეუთანხმდეს რკინის გზის მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირს რკ. გზის მოსამსახურეთა 14 კატეგორიებათ დაყოფაში შემდეგი პირობების დაცვით:

1) გამოყოფილ იქნეს ადმინისტრაციის პირები (წარმოებაში როლების მიხედვით) სუფდა მომუშავეთა და დაწესებულ იქნეს კერძო კატეგორიები მათ შორის.

2) დაყოფილ იქნეს ყველა მუშები და მოსამსახურენი: ა) ფიზიკური შრომის მწარმოებელთა, ბ) კონტორის და გონებრივად მომუშავეთა.

3) თითოეული ჯგუფი კატეგორიებად დაყოფილ იქნეს სამი ტერიტორიალური რაიონებათ: თფილისის, ხაშურის და სამტრედიის. III რკინეს გზის ადმინისტრაცია უნდა შეუთანხმდეს რკინის გზის მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირს, რკინის გზაზე შრომის რეგისტრაციის გამოსარკვევათ და წარმოების გასადიდებლათ. IV ზოგიერთ ჯგუფის მოსამსახურეებისა და მუშების ბოროტმოქმედების წინააღმდეგ საბრძოლველათ: 1) შედგენილ იქნეს კომისია, რომელშიაც უნდა შევიდენ: რკინის გზის ადმინისტრაციის რკინის გზის მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის და შრომის სამინ. წარმომადგენლები. კომისიას უფლება ეძლევა ყოველმხრივ გამოიძიოს ბოროტმოქმედება, მისი შეხედულობით სამსახურიდან დაითხოვონ დამნაშავე მუშა ან მოსამსახური და გადასცეს სასამართლოს.

2) ცნობილ იქნას აუცილებლად, რომ მუშაობის გადაცემის პასუხისმგებლობა გადაეცეს მწონავთა არტელებს, დამტვირთავებს და „კასირებს“.

## უცხოეთის ამბები

## ტელეგრამები.

საქართველოს სააგენტოსი.

**ლ ი ტ ვ ა შ ი.**

მოსკოვი,- იანვრის 27. ც. ა. კ. ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენი. ვილნო 25 იან. ლიტვის მთავრობამ სპეკულიაციის შეწყვეტის მიზნით დაკეტა ლიტვის საზღვრები. კონტრ რევოლიუციონურ ბანაკში მინსკი 26 იანვარი.

**პოლონეთში.**

პოლონელ ლეგიონერებმა [illegible] პოლონეთში მიმავალ [illegible] ბროკევიჩი, რომელიც გნევიჩის ფადსკის ფსევდონიმით იყო ცნობილი, წითელი ფრონტი. იამბურგი, იან. 26 ნარვის დასავლეთით დავიჭირეთ სოფელი ბორდიანკა. №-არმიის შტაბის იანვრის 26 ოხანის რაიონში დავიჭირეთ სოფელი ლოზანშიე. ვარკი იანვრის 26 ფელინის მიმართულებით ჩვენ დავიჭირეთ ავენკოტი, მორზელი და კონირი მინსკი. 26 იან. უკანასკნელ დღეებში.

**ვ ა რ შ ა ვ ა შ ი.**

ვარშავაში დააპატიმრეს 1000 კაცი. ეძებენ პოლონელ კომუნისტებს. სხვათა შორის დააპატიმრეს სტეფანე კულიკოვსკი, იასიმოვიჩი და პაკულსკი. იანვრის 19, ვარშავიდან იუწყებიან რომ პოლონელების მართველობამ დახურა კომუნისტური ორგანო „სოციალიზმის დროშაა.

**სოციალისტების კონგრესი.**

ბრიუსელიდან იუწყებიან, რომ ბელგიის სოციალისტურ პარტიის გამგეობა პროფესიონალურ კავშირების წარმომადგენლების, საფრანგეთის შრომის კონფედერაციის დეპუტატებთან რეპოდელთან და მიტრალელთან და ჰოლანდიის სოციალისტ ბანკოლემთან ერთად ინტერნაციონალურ სოციალისტურ კონფერენციის მოწვევაზე მსჯელობას განაგრძობს. ორშაბათს ამ საკითხს ხელმეორეთ განიხილავენ ფრანგ. დელეგატების თანადასწრებით.

**გერმანიის რესპუბლიკის საკითხი**

კარნაფონი იანვრის 23. ფიქრობენ, რომ ახალი გერმანია 8 რესპუბლიკისაგან შესდგება, რომელნიც ერთად შეადგენენ გაერთიანებულ ფედერატიულ რესპუბლიკას რესპუბლიკაში შევა ავსტრიის გერმანიაც. კარნაფონი იანვრის 26.

**ალესტინის საკითხი კონფერენციაზე.**

საზავო კონფერენცია რთულ საკითხათ სთვლის სირიის საკითხს და განზრახული აქვს აირჩიოს კომისია ადგილობრივ პირობების შესასწავლათ.

**მუშათა მოძრაობა ინგლისში.**

„ტაიმსი“ სწერს ინგლისის მუშათა საკითხის გართულებაზე მუშათა კლასის მიზანია სოციალისტური მართველობა, უკანასკნელ თვეებში ტრედიუნისტებმა მიაღწიეს თავის მიზანს და ცხოვრებაში გატარების დიდი რეფორმები, რკინის სამრეწველოებში 8 საათის სამუშაო დღის მოთხოვნილება დაკმაყოფილებულ იქნა.

**არაბეთის სახელმწიფო.**

ბერლინი, იანვრის 24. გეჯასის შეიხი წინადადებას აძლევს საზავო კონფერენციას გააერთიანოს მთელი არაბეთი, მეწამულ ზღვიდან სპარსეთის ყურამდე, რომელიც ოსმალეთისაგან დამოუკიდებელი და შეერთებულ შტატების პროტექტორატის ქვეშ იქნება.

**ლოიდ ჯორჯი ბოლშევიკებს ეპატიჟება.**

ბერლინი, იანვ. 20. „ფოსტა“-ში დაბეჭდილია ლოიდ ჯორჯის მიერ საზავო კონფერენციაზე რუსეთის შესახებ წარმოთქმული სიტყვები. ლოიდ ჯორჯმა განაცხადა, რომ მოკავშირეთა გალაშქრება რუსეთზე ფართო მასშტაბით შეუძლებელია. მცირე მასშტაბით გალაშქრებასა და ეკონომიურ ძალდატანებას მნიშვნელობა არ ექნება. ის წინადადებას იძლევა საზავო კონფერენციაზე მოიწვიონ ბოლშევიკები და მოუსმინონ მათ.

**ჟორესის მკვლელის საქმე.**

იანვრის 24 დაიწყება ჟორესის მკვლელის ვილენის საქმის გარჩევა.

**გერმანიის პროტესტი საფრანგეთის წინააღმდეგ.**

ბერლინის გაზეთები სწერენ, რომ დროებითი ზავის გერმანიის კომისიის წევრის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინტერფელდის გადადგომა ნიშნავს სასტიკ პროტესტს საფრანგეთის მიერ უსაბუთოდ დროებითი ზავის პირობების დარღვევის წინააღმდეგ. ახლა საფრანგეთი ცდილობს გვერდი უხვიოს იმ ვალდებულებებს, რომელთაც მას აკისრებს ვილსონის პროგრამის მიღება. საფრანგეთი ზომებს ღებულობს ხელთ იგდოს რეინის მთელი მარცხენა მხარე და ამით გერმანია შიგნიდან გაანადგუროს. ბადენსა და სამხრეთ გერმანიაზე პოლიტიკურ გავლენის მოსაპოებლად საფრანგეთი სცდილობს დაიჭიროს რეინის მე-4 სიმაგრე სტრასბურგის წინ. ერთი დღის წინათ საფრანგეთის წარმომადგენლებმა იჩივლეს. გერმანელები ნებაყოფილობით არ გვაბარებენ კუთვნილ 5000 საბარგო ავტომობილს და მხოლოდ 43000 ჩაგვაბარესო. ვინტერფელდმა უპასუხა, რომ გერმანიამ 5000 ავტომობილი გაუგზავნა საფრანგეთს, მაგრამ მათგან 800 ცალი უვარგისათ სცნო და არ მიიღო.

**გერმანიის ჯარის დემობილიზაცია.**

მთელი დასავლეთის არმია მიიყვანეს იმ ადგილებში, სადაც დემობილიზაცია უნდა მოახდინონ. აღმოსავლეთის არმია 600,000 კაცისგან შესდგებოდა. აქედან 500,000 სადემობილიზაციო პუნქტებში გაიგზავნა. ოსმალეთში მყოფი გერმანიის ჯარი, გარდა 100,000 კაცისა, თავის ნაწილებში დაბრუნდა. დემობილიზაცია სისტემატიურათ სწარმოებს. იანვრის 18 სამშობლოს ტერიტორიის გარეშე იყო სულ 130000 ჯარის კაცი. ამაში შედის ოსმალეთში დარჩენილი ჯარი. თუ რაიმე მოულოდნელი დაბრკოლება არ აღმოჩნდა, ეს ჯარი სადემობილიზაციო პუნქტებში დაახლოებით თებერვლის მეორე ნახევარში მივა.

## ხაზინის მოკლევადიან ვალდებულებათა გამოცემა

### ფინანსთა სამინისტროს მოწოდება.

საქართველოს მოქალაქეთა მიმართ.

საქართველოს ნორჩმა რესპუბლიკამ მემკვიდრეობათ მიიღო ცარიელი ხაზინა და საშინელი ფინანსიური მდგომარეობა.

ამავე დროს იმ მრავალ არა ჩვეულებრივ ხარჯების გარდა, რომელიც დაგვჭირდა სახელმწიფოებრივ ცხოვრების მოსაწყობად რესპუბლიკაში, ჩვენ გადასახადად დაგვაწვა რუსეთის ფრონტისა და დაწესებულებათა ლიკვიდაციით გამოწვეული აუარებელი ხარჯიც.

ანარქიასთან ბრძოლა კი დიდხანს გვიშლიდა ხელს ისე მაგრად შევსდგომოდით გადასახადების მოკრეფას, როგორც ამას მოითხოვდა საქმის ინტერესი და თუმცა ამ უკანასკნელ დროს შემოსავალმა იმატა, ჩვეულებრივი გადასახადები მაინც ვერ დაფარავენ ყველა არა ჩვეულებრივ ხარჯებს.

შემუშავებულია და პარლამენტის მიერ მიღებული მთელი რიგი კანონ-პროექტებისა სახელმწიფოს შემოსავალის გასაძლიერებლად მაგრამ ყველა ამ კანონების ცხოვრებაში გატარება საკმაო დროს მოითხოვს.

სახელმწიფოს საჭიროებანი კი დაუყონებლივ მოითხოვენ დაკმაყოფილებას. სხვა არა ჩვეულებრივ მოთხოვნილებათა რომ თავი გავანებოთ, ადვილი წარმოსადგენია, რა ფული დაუჯდება რესპუბლიკას ლიკვიდაცია ომით გამოწვეული ხარჯების.

ამიტომ საჭიროა დროებით, სანამ გადასახადები შემოვიდეს სესხის საშუალებით ხაზინის გამაგრება, ხოლო აქაც ჩვენ საკუთარ თავის, სამშობლოს ერთგულ მოქალაქეთა იმედი უნდა გვქონდეს.

ამ განზრახვით დაადგინა პარლამენტმა სახაზინო ვალდებულებათა გამოცემა. არ არის ქვეყანაზე ისეთი სახელმწიფო, რომელიც არაჩვეულებრივ ხარჯების დასაფარავად, სესხს არა მიმართავდეს. აღნიშნული სესხი კი თავისუფალ საქართველოს რესპუბლიკის პირველი სესხია.

მოქალაქენო, თქვენ უკვე იცით, რა რიგ შეღავათიან პირობებშია ეგ სესხი, ეგ სახაზინო ვალდებულებანი გამოცემული.

იგი მოკლე ვადიანია, სახელდობრ ერთი წლის შემდეგ იქნება გადახდილი.

იგი სარგებელს იძლევა 5% და ეს სარგებელიც წინ და წინ ეძლევა ვალდებულების მიმცემს არსებულ სახაზინო გადასახადის გამოუკლებლად.

იგი მიიღება მთავრობის მიერ როგორც საწინდრად ისე სხვა და სხვა გადასახადებში ნაღდი ფულის მაგიერ.

ერთი სიტყვით ვალდებულებანი თავის ღირსებით თითქმის არაფრით განირჩევიან ნაღდი ფულისაგან.

და თუ ასეთი შეღავათიანი პირობები დაუდევით საქართველოს რესპუბლიკის პირველ სესხს საფუძვლად, ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ საქართველოს მოქალაქენი ხელს შეუწყობს სესხის დაუყონებლივ განაღდებას.

საზოგადოების ყოველი კლასი ვალდებული ამ დიად დროს, როცა მკვიდრდება საფუძველი ჩვენი სახელმწიფოებრივობის, ნივთიერ დახმარებით ხელი შეუწყოს თავის მთავრობას.

ჩვენი სახელოვანი გვარდია და ჯარი, ხალხის ნამდვილნი შვილნი სიცოცხლეს სწირავდენ და სწირავენ საქართველოს რესპუბლიკის კეთილ დღეობას; ისტორია ავად მოიხსენებს იმათ ვისაც შეეძლო და ნივთიერი მსხვერპლიც კი არ გაიღო ამავე დიად დანიშნულებისათვის.

ახლა შემთხვევაში ეძლევა შეძლებულ პირებს დაამტკიცონ თავის მამულისადმი სიყვარული და ერთგულება.

მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სახაზინო ვალდებულებათ საზოგადოების ფართე წრეებიც შეიძენენ, რადგან ეს ვალდებულებანი ყველასთვის ხელსაყრელი და ხელმისაწვდომია.

ქალაქის და ერობის თვითმართველობანი, კოპერატივები, ყველა საზოგადოებრივი დაწესებულებანი მოვალენი არიან ზნეობრივად ხელი შეუწყონ ამ სესხის სავსებით გაღდებას.

სესხის სავსებით განაღდება ერთხელ კიდევ დაამტკიცებს, რომ საქართველო ნდობით ეპყრობა მის დემოკრატიულ მთავრობას და მაჩვენებელი იქნება ჩვენი ფინანსიურ მდგომარეობის განმტკიცებისა.

მოქალაქენო, ამ სესხის განაღდება თქვენგან არავითარ მსხვერპლს არ მოითხოვს, დაამტკიცეთ მამულის სიყვარული საქმით, დაუმტკიცეთ ქვეყანას თქვენი სამშობლოსადმი ერთგულება.

ნუ დარჩება ნურც ერთი მოქალაქე, რომ ვალდებულება არ შეიძინოს.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი.

დედანთან სწორია. საქმის მწარმოებელი გ. ახაშიძე.


## მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის.

ყოველ დღიურ გაზეთ „სალი კლდე“-ზე.

**გაზეთის ფასი:**

ერთი თვით 10 მან. | სამი თვით 25 მან. | ექვსი თვით 50 მან. | ერთი წლით 100 მან.

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი № 18—31. კონტორა ქართულ ქარვასლაშია, სასახლის ქ. № 5.



## „კლდის“ ბიბლიოთეკა:

დაიბეჭდა ნაწერები:

გრიგოლ ვეშაპელის

**„ნაც.-დემოკრატიული პარტია.“**

დავით ვაჩნაძის

**„მუდმივი ჯარი თუ სახალხო მილიცია“**

მიხეილ მაჩაბელის

**„მიწის საკითხი“**

შალვა ქარუმიძის

**სამღვთო სჯულის სწავლების გაუქმება.**

თითო წიგნის ფასი 15 შაური.


## ბათუმის ქართველთა

ეროვნული საბჭო ხსნის სრულ უფლებიან ქართულ გიმნაზიებს ორივე სქესისთვის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ გამომუშავებული პროგრამით. საბჭო სთხოვს მშობლებს, რომელთაც სურთ მიაბარონ ხსენებულ გიმნაზიაში თავიანთი შვილები მიაწოდონ ეროვნულ საბჭოს ქ. ბათუმში შემდეგი ცნობები:

1. სქესი მოსწავლისა,
2. რაოდენობა და
3. რომელ კლასში სურს შესვლა.

სწავლის უფლება იქნება არა უმეტეს იმისა, რაიც საქართველოს რესპუბლიკის სხვა გიმნაზიებშია. სწავლა დაიწყება ახლო მომავალში. მათ, ვინც საქართველოს რესპუბლიკის გიმნაზიებში უკვე შეიტანეს მეორე ნახევარი სწავლის ფულისა, ეს ფული დაუბრუნდებათ.

ბათუმის ქართველთა ეროვნული საბჭო.


### მიიღება ხელის მოწერა 1919 წ.

ერთად-ერთ სახელოვნო-სალიტერატურო-სათეატრო სურათებიან ჟურნალ

## თეატრი და ცხოვრება-ზე

წლიწადი მეშვიდე გამოცემისა

წლიურად—25 მან., ნახევარ წლით—15 მა. ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში: თფილისი, ბაზრის ქ. № 20, მეწიგნეების რიგზე, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ დილის 9 ს.—საღამოს 7 ს. ფოსტით: თფილისი, რედ. „თეატრი და ცხოვრება“ იოსებ იმედაშვილს. იქვე მიიღება შემოწირულება ჟურნალის ფონდის სასარგებლოდ.

რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი.


## საქართველოს მეურნეთა და მიწის მესაკუთრეთა კავშირის საბჭო.

ამით აცხადებს, რომ ყოველნაირი ცნობების მიღება და კავშირში წევრათ ჩაწერა შეიძლება შემდეგის მისამართით: ბარიათინსკის ღალმართი № ?. სამეურნეო საზოგადოების შენობაში.

## თფილისის ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება

ამით აცხადებს მცხოვრებთა საყურადღებოთ, რომ ამა წლის 21 იანვრიდან საუბნო სასურსათო კომიტეტში დაიწყება იანვრის, თებერვლის და მარტის სასურსათო ბარათების დარიგება. ბარათები დაურიგდებათ მხოლოდ სარაიონო და ბინის კომიტეტებს, რისთვისაც საჭიროა წარმოადგინონ: 1) ახალი ბინის წიგნები, 2) ახალი ბინის სარეგისტრაციო უწყებანი ორ ფურცელზე გადაწერილი, რომლებიც უნდა შეამოწმონ საუბნო სასურსათო კომიტეტებმა, 3) ძველი სასურსათო ბარათები, 4) პიროვნების ვინაობის მოწმობები. მოწმობად ცნობილია: ა) პასპორტი, ბ) მეტრიკული ამოწერილობა, გ) მოწმობა მილიციის უფროსისაგან მიცემული, დ) მოწაფეთა ბილეთი, ე) მოწმობები სხვადასხვა ეროვნულ საბჭოებისაგან მიცემული, თუ უკანასკნელთ აქვთ საკონსულო დაწესებულებათა ხასიათი. სამკურნალოები, თავ-შესაფარი ბინები, პანსიონები და სხვა მაგვარი დაწესებულებანი მიიღებენ ბარათებს საბარათო განყოფილებაში.

(2—2) სასურსათო განყოფილება თფილისის ქალაქის გამგეობისა.


## ექ. დ. ჯავახიშვილი

ბინა: ვერა, გუნიბის ქუჩა № 41.

ტელეფ. № 13—4.

მიიღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე კვირას გარდა, დილის 9—11 და საღამოს 5—7 საათ.